კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში ც. დადიანის ქ. №103 ში მშენებარე მრავალბინიანიანი საცხოვრებელი სახლის მომიჯნედ ჩაქვის ქუჩის მხრიდან, №8-10-ში მშენებარე სახლზე.

1. წარმოდგენილი პროექტი შესრულებულია არქიტექტურული გადაწყვეტილების, გეოლოგიური დასკვნის და მოქმედი სამშენებლო ნორმის და წესების შესაბამისად.
2. პროექტი ითვალისწინებს 6 სართულიან სარდაფით ხისტკვანძოვანი მონოლითური რკინაბეტონის კარკასული ტიპის შენობას.
3. შენობის საძირკვლებად გეოლოგიური დასკვნის და რეკომენდაციის მიხედვით მიღებულია რკინაბეტონის მონოლითური კოჭოვანი ფილა , რომლის სისქე შეადგენს– 90 სმ და დაფუძნებულია თიხნარზე –2.8 ნიშ. შენობის სვეტებად მიღებულია – რკინაბეტონის მონოლითური სვეტები ზომით განიკვეთში 50X50 სმ 40X40 სმ სართულების მიხედვით.
4. შენობის რიგელებად მიღებულია – რკინაბეტონის მონოლითური კოჭები ზომით განიკვეთში 40X50 სმ;
5. სართულშუა გადახურვები შესრულებულია მონოლ. რკინაბეტონში –სისქით 16 სმ.

6 შენობის დიაფრაგმებად მიღებულია – რკინაბეტონის მონოლითური კედლები ზომით განიკვეთში 25სმ;

7. სახურავი ბრტყელი რბილი გადახურვით
8. დადიანის 103-ში მშენებარე საპროექტო შენობის მიწისქვეშა ერთსართულიან ნაწილს ჩრდილოეთის მხრიდან „ბ–დ“ ღერძებში ემიჯნება მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის 6 სართულიანი ნაწილი , ორივე შენობის საძირკვლები წარმოადგენს კოჭოვან ფილას. საპროექტო შენობის მიწისქვეშა ნაწილს და მშენებარე შენობას შორის მანძილი შეადგენს 0.6–0.8 მ. ხოლო ნიშნულებს შორის სხვაობა შეადგენს 0.9–1.1 მ. საპროექტო შენობის საძირკვლის ფილა დაფუძნებულია –3.8 ნიშ. ხოლო მომიჯნავე შენობის შენო–ბის საძირკვლის ფილა დაფუძნებულია –2.8 ნიშ. გრუნტის ფიზიკო–მექანიკური თვისებებიდან გამომდინარე თიხნარის შინაგანი ხახუნის კუთხე შეადგენს– 22 გრად. გრაფიკულად აგებული სქემის მიხედვით მშენებარე კორპუსის საძირკველი გავლენას ახდენს დასაპროექტებელ საძირკველზე, რის გამოც საჭირო იქნება დამატებითი ღონისძიებების ჩატარება , კერძოდ 100მმ–ანი მილებით შპუნტირება ყოველ 0.5 მ–ში , ან საყრდენი კედლით გამოყოფა და ა.შ. ალტერნატიული ღონისძიებების ჩატარება , რომელიც ასახული უნდა იყოს დადიანის ქ.№103ში მშენებარე სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში.

ინჟინერ-კონსტრუქტორი : თამაზ ბულისკირია